თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6068022

ნომერი: AR1913492

თარიღი : 20.07.2022

გაცემის თარიღი : 04.08.2022

გაცნობის თარიღი : 05.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შავიშვილი , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბი წიკლაური პ/ნ 01020005520
- თბილისი მ.ფილიას ქ. N 5

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. „სტუდია 9“ კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 20 ივლისს №AR1913492 განცხადებით მომართა ზურაბი წიკლაურმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა შავიშვილი №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.04.029.039), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 31 მაისიდან 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. ამავე ბრძანებით დამკვეთს დაევალა აღნიშნული ბრძანების გაცემიდან 30 სამუშაო დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 აპრილის №5917566 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის უზრუნველყოფა.
სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებით შესრულებულად ჩაითვალა ზემოაღნიშნული პირობა. აღნიშნულ ბრძანებაში ასევე ავტომატურად აისახა სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 342.14 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 336.2 კვ.მ., საოფისე ფართობი 1826.29 კვ.მ-ის ნაცვლად 1791.2 კვ.მ., კომერციული ფართობი 713.71 კვ.მ-ის ნაცვლად 700.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 361.21 კვ.მ-ის ნაცვლად 366.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 636.22 კვ.მ-ის ნაცვლად 553.1 კვ.მ., დამხმარე ფართობი 43.22 კვ.მ-ის ნაცვლად 43.2 კვ.მ., საერთო ფართობი 3943.59 კვ.მ-ის ნაცვლად 3811.3 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებებში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 336.2 კვ.მ., საოფისე ფართობად: 1791.2 კვ.მ., კომერციულ ფართობად: 700.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 366.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 553.1 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 43.2 კვ.მ., საერთო ფართობად: 3811.3 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მაისის №5962312 და 2022 წლის 04 ივლისის №6019953 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge